

განმარტებითი ბარათი

“საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე:

ა.ა). კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განაპირობა საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტების მიერ ფალსიფიცირებული ან ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის მავნე ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციამ.

ა.ბ). კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტების მიერ ფალსიფიცირებული ან ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის მავნე ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის სამართლებრივი პრევენცია და აღკვეთა.

ა.გ). კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატება მუხლი 179⁵, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ფალსიფიცირებული ან მავნეული ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციისათვის. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტის მიერ ფალსიფიცირებული ან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნეული ალკოჰოლური სასმელის რეალიზაცია გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

ბ). კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა). კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ). კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გაზარდოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმის, როგორც ადმინისტრაციულ სახდელის დაკისრებას კანონპროექტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. ამასთან, ამ ეტაპზე შეუძლებელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტის გავლენის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან ეს გარემოება დამოკიდებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რაოდენობაზე და შესაბამისად გადახდილი ჯარიმების ოდენობაზე.

ბ.გ). კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ). სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე). კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა იქონიოს ფინანსური გავლენა იმ პირებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება. კერძოდ, დაწესებულია ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ფალსიფიცირებული ან მავნე ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედების ჩამდენ პირს დაეკისრება ჯარიმის გადახდა კანონპროექტით დადგენილი ოდენობით.

ბ.ვ). კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით ფალსიფიცირებული ან მავნე ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციისათვის განისაზღვრულია ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ოდენობა. კერძოდ, საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტის მიერ ფალსიფიცირებული ან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნეებელი ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციისათვის 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედების ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ხელახლა ჩადენისთვის – 20 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის აღნიშნული ოდენობები განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმის პროპორციულად, ვინაიდან საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტის მიერ ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა). კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არაა წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

არაა წინააღმდეგობაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ). კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა). სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებს.

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.